



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge



ქ. მცხეთა

2020-06-05

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 159/20

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან/და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე საქპატენტის შიდა აუდიტის დეპარტამენტისთვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „დ“ და „ლ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დაევალოთ საქპატენტის თანამშრომლებს, მათ მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი წესრიგის ხელყოფასთან, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-გამოყენებასთან, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან, ჩადენილია ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობონ საქპატენტის შიდა აუდიტის დეპარტამენტს.
2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის საქპატენტის თანამშრომელთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

საფუძველი: მოხსენებითი ბარათი № 1005-20/20, 28-05-2020.

თავმჯდომარე

მინდია დავითაძე

ეგზავნება: იურიდიული დეპარტამენტი;
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი;
ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
სასწავლო ცენტრი;
გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტი;
სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტი;
მომსახურების დეპარტამენტი;
საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი;
შიდა აუდიტის დეპარტამენტი

